

მედია წიგნიერება

PMO
Business Consulting

მედია წიგნიერება

ავტორი: გივიკო ბიბილეიშვილი

დღეს მსოფლიოშიო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი გავრცელების შესაძლებლობები ძალიან ფართოა, თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ „მედალს ორი მხარე აქვს“. ხშირად სოციალური მედიის გამოყენება დეზინფორმაციის გავრცელებისთვისა და პროპაგანდისთვის ხდება, რასაც მედიის მომხმარებლები შეცდომაში შეჰყავს. დეზინფორმაცია ადამიანისთვის დიდი რისკის შემცველია, რომელმაც შესაძლოა სავალალო შედეგებიც კი გამოიღოს. ასეთი ფაქტების პრევენცია საზოგადოების მედია წიგნიერებითაა შესაძლებელი.

მედია წიგნიერება -

ცოდნისა და უნარების ერთობლიობაა, რომლებიც გვაძლევენ შესაძლებლობას სოციალურ მედიაში შევაფასოთ და ამოვიცნოთ ყალბი და ჭეშმარიტი ინფორმაცია. მედია წიგნიერება ასევე გვეხმარება დამოუკიდებლად შევქმნათ ყველა ჟანრის მედია პროდუქტი.

წყარო: ncp.ge ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი

მედია წიგნიერება და პანდემია

მედია წიგნიერების მნიშვნელობა კიდე უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში აღმოჩენილმა ვირუსმა მსოფლიოს რეალობა შეცვალა. კოვიდ პანდემიას სოციალურ მედიაში სხვადასხვა ყალბი ინფორმაციის გავრცელება მოჰყვა. მაგალითად: მითი ნიღბისა და სოციალური დისტანციის არაეფექტურობის შესახებ. ასევე უკონტროლოდ ვრცელდებოდა საზოგადოების სუბიექტური აზრი, როგორც ექსპერტული შეფასება, თითქოს კოვიდ 19 რიგითი სეზონური გრიპია და მას განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მივაქციოთ.

მას შემდეგ, რაც კორონა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა შეიქმნა, ამ მიმართულებითაც მრავალი ყალბი ინფორმაცია გავრცელდა სოციალურ მედიაში, რაც დღემდე აფერხებს ვაქცინაციის პროცესს და ადამიანების ჯანმრთელობას მნიშნველოვან საფრთხეს უქმნის.

მედია წიგნიერება ევროპაში

იმისათვის, რომ საზოგადოება უფრო მეტად მედია წიგნიერი გახდეს, ევროპის დასავლური ქვეყნები აქტიურად მუშაობენ. ევროკომისიას აქვს შემუშავებული სტრატეგიული გეგმაც თუ როგორ და რა მიმართულებით უნდა გადაიდგას ნაბიჯები საზოგადოებაში მედია წიგნიერების დონის ასამაღლებლად. ევროპელები ფიქრობენ, რომ მედია წიგნიერება ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ასაკში, თუმცა ისინი რეკომენდაციას უწევენ სასკოლო ასაკიდან

მედია წიგნიერების შესწავლას, რაც ბავშვებს სამომავლოდ ჩამოუყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას და შეეძლებათ ინფორმაციის სრულფასოვანი ანალიზი.

ევროპაში ყოველწლიური კვლევის საგანია სხვადასხვა ქვეყნის მედია წიგნიერების ინდექსი. მედია წიგნიერების ინდექსის დადგენა ხდება რვა კომპონენტის შეფასების გზით. მათი ჩამონათვალი შემდეგია:

- პრესის თავისუფლება
- პრესის თავისუფლების ინდექსი
- მხატვრული ლიტერატურის კითხვის მაჩვენებელი
- სამეცნიერო ლიტერატურის კითხვის მაჩვენებელი
- მათემატიკური ლიტერატურის კითხვის მაჩვენებელი
- ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის შედარება უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების მაჩვენებელთან
- ადამიანების ნდობის მაჩვენებელი
- ელექტრონული თანამონაწილეობის ინდექსი (საზოგადოების ჩართულობა მმართველობით პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით)

2021 წლის მედია წიგნიერების ინდექსის მიხედვით, 5 ყველაზე მედია წიგნიერი ქვეყნის ჩამონათვალი ასეთია:

ფინეთი | დანია | ესტონეთი | შვედეთ | ირლანდია

წყარო: osis.bg - open society institute Bulgaria

ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში მედია წიგნიერების დონე მაღალია, რაც განათლების მაღალი ხარისხით, პრესის თავისუფლებით და ნდობის მაღალი მაჩვენებლით იხსნება.

ევროპის მასშტაბით არსებობენ მედია წიგნიერების მიმართულებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიც

ჩრდ .მაკედონია | ბოსნია და ჰერცოგოვინა | ალბანეთი | მონტენეგრო | თურქეთი

წყარო: osis.bg - open society institute Bulgaria

ჩამოთვლილი ქვეყნები მედია წიგნიერების ინდექსის ჩამონათვალში უკანასკნელ ხუთ ადგილს იკავებენ, რაც განპირობებულია მედიის თავისუფლების ხარისხისა და განათლების დაბალი მაჩვენებლებით.

მედია წიგნიერება საქართველოში

საქართველო მედია წიგნიერების ინდექსის ევროპულ კვლევაში ვერ მოხვდა, შესაბამისად ჯერ კიდევ დაუდგენელია რა პოზიციაზეა ჩვენი ქვეყანა ამ მიმართულებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ მედიის განვითარების ფონდი (MDF) სამომავლოდ გეგმავს შესაბამისი კვლევის ჩატარებას.

მედია წიგნიერების გასავითარებლად საქართველოში როგორც საჯარო უწყებები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაკისრებული აქვს უფლებამოსილებები მედია წიგნიერების განვითარების ხელშესაწყობად. პროცესში ჩართულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროც.

მნიშნველოვანია აღვნიშნოთ საქართველოში არსებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილი მედია წიგნიერების განვითარების პროცესში, (UNICEF, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), USAID, მედიის განვითარების ფონდი) რომლებიც გვთავაზობენ: ბროშურებს, ვებ-გვერდებს, სახელმძღვანელოებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, საჯარო ლექციებს ამ მიმართულებით. მათ მიერ შექმნილია არაერთი გზამკვლევი, სადაც დეტალურადაა აღწერილი ყალბი ინფორმაციის ამოცნობის გზები.

იმისათვის, რომ გადავამოწმოთ ქართულ სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არის თუ არა ყალბი, სხვადასხვა ვებ-გვერდი დაგვეხმარება:

- https://www.mediachecker.ge/
- https://www.mythdetector.ge/ka
- http://millab.ge/ka/
- https://factcheck.ge/ka

ასევე გთავაზობთ მედია და ინფორმაციული წიგნიერების ლაბორატორიის მიერ შექმნილი სახალისო კომპიუტერულ თამაშს **„DR. FAKE”**-ს, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ ხართ თუ არა მედია წიგნიერი და შეგიძლიათ თუ არა ყალბი ინფორმაციის წარმატებით ამოცნობა.

http://millab.ge/ka/game/doqtor-feiki/37http://millab.ge/ka/game/doqtor-feiki/37

გისურვებთ წარმატებებს !

www.pmo-bc.com
(+995 32) 2 37 73 07
რაფიელ ერისთავის ქ.16
თბილისი, 0179, საქართველო

[1]PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.

[1] მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com